# თავისუფალი საქართველო

№39

5 - 11 ნოემბერი

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ● რედაქტორის სვეტი

ერთი უმთავრესი და, შეიძლება ითქვას, ყველაზე მტკივნეული პრობლემა, რომელიც ყოველთვის იდგა ჩვენი სამშობლოს წინაშე, იყო და არის იმ ძალთა გაერთიანება-კონსოლიდაციის ლამის აუხდენელ ოცნებად ქცეული აუცილებლობა, რომელთაც პირველთ უნდა მოეთხოვებოდეთ პასუხი ქვეყნის სატკივარის გამო.

მსოფლიოში ძნელად თუ მოიპოვება სახელმწიფო, რომელიც იმდენ შეჭირვებას განიცდიდეს, რამდენსაც დღევანდელი საქართველო. აქ ყველა რანგის და ყველა სახის პრობლემა ერთად იყრის თავს - პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური; მოუგვარებელია როგორც საშინაო, ისევე საგარეო კონფლიქტები. ეს დილემადქცეული მოცემულობა მთელი საუკუნის მანძილზე საბედისწერო გარდუვალობად სდევს თან ჩვენს ქვეყანას.

მეტისმეტად ადვილი იქნებოდა ყველაფრის მტრისთვის გადაბრალება. თუმცა, არც მისი ჩარევის გარეშე ხდებოდა ბოლო ერთი საუკუნის მანძილზე განხეთქილებები და დაპირისპირებები ქვეყნის საშინაო პოლიტიკურ ცხოვრებაში. დღეს ქუჩაში გულმართალი ქართველი რომ გააჩერო და ჰკითხო, რა არის მისთვის ყველაზე მტკივნეული პრობლემა საქართველოს სინამდვილეში, აუცილებლად გიპასუხებს, რომ პირადად მას ყველაზე მეტად ეროვნულ ძალთა შიდა დაპირისპირება უკლავს გულს. ბოლო რამდენიმე წელიწადში ამ პრობლემამ იმდენად მასშტაბური ხასიათი მიიღო, რომ ლამის უფრო მნიშვნელოვან სატკივრად იქცა, ვიდრე რუსეთთან დაპირისპირება ან უკანონო ხელისუფლებასთან ბრძოლა.

ჩეჩნეთის მაგალითი ქრესტომათიული სიმარტივით ადასტურებს უბრალო, ჩვენთვის საბედისწეროდ მიუწვდომელ ჭეშმარიტებას - ძალა ერთობაშია. თუ არსებობს ერთობა, არსებობს გამარჯვებაც, თვით წარმოუდგენლად დიდი გამარჯვებაც კი; ისეთი, როგორიც საუკუნეებს განაცვიფრებს.

ყველა ჩვენი მარცხის მიზეზი შიდაგათიშულობაა. განსაკუთრებით მწვავედ ეს დღეს იგრძნობა, როცა ქვეყანა ლამის მიწასთანაა გასწორებული. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები კი, უკლებლივ ყველა, ისე იქცევიან, თითქოს ერთმანეთთან დავასა და ქიშპზე უფრო მნიშვნელოვანი საქმე საქართველოში არ იყოს. გასაგებია, რომ ისეთ მოძრაობაში, როგორიც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობაა, რაც თავისთავად ბევრ პარტიასა და ხალხის უზარმაზარ მასას მოიცავს, არ შეიძლება ყველა ერთმანეთთან ყველაფერში შეთანხმებული იყოს, ყველაფერზე ერთი აზრი ჰქონდეს, მაგრამ ეს ხომ ყოვლად მიუღებელია, რომ არავინ ერთმანეთს არაფერში ეთანხმებოდეს. შექმნილი მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია და გარდუვალი დაღუპვისკენ მიაქანებს როგორც თვით ეროვნულ მოძრაობას (არავის სჭირდება წინამძღოლები, რომლებიც ერთმანეთში ვერ მოლაპარაკებულან), ასევე უფრო დიდსა და მნიშვნელოვანს - საქართველოს მომავალს. ჩვენმა დღევანდელმა მოუცლელობამ საერთო საქმისთვის და შიდა პოლიტიკური ინტრიგებით თავის შექცევამ, შესაძლოა უახლოეს მომავალში გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს, რამეთუ სანამ ჩვენ ერთმანეთში ვარკვევთ ურთიერთობებს, ხელისუფლება წარმატებით და შეუფერხებლად აგრძელებს საქართველოსთვის დამღუპველი პოლიტიკის წარმოებას.

დღეს თვით ჰაერში ტრიალებს სასოწარკვეთის, უიმედობის, უსასოობის განწყობილება, რომელიც გარდუვალად უახლოვდება იმ ზღვარს, საიდანაც საერთო ეროვნული აპათია იწყება. დღეს ცხადად შეიგრძნობა შეთანხმების, შერიგების, კანონიერების მომხრე ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციის უალტერნატივო აუცილებლობა. სხვაგვარად, მარცხი და იმედგაცრუება გახდება ჩვენი თანამდევი. "თავისუფალი საქართველო", თავისი უამრავი მკითხველის აზრზე დაყრდნობით, სრულად იზიარებს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც ეროვნულ მოძრაობას აქვს სამშობლოს წინაშე და ივალდებულებს თავისი ენერგია ეროვნულ ძალთა გაერთიანების იდეას ამსახუროს უშურველად. უდიდესი ტკივილით და სიყვარულით, პატივისცემით თითოეულის ღვაწლის წინაშე, მოვუწოდებთ ყველა ერთმანეთთან დაპირისპირებულ პოლიტიკურ პარტიას, ლიდერებს, ცალკეულ პიროვნებებს, ეროვნული მოძრაობის გულშემატკივართ, მთელი თავისი ძალისხმევა კანონიერების მომხრე ეროვნულ ძალთა შეთანხმება-გაერთიანებისკენ წარმართოს. ჩვენის მხრივ, მადლიერებით მოვეკიდებით ყველა წინადადებას, შენიშვნას, თვით საყვედურსაც კი, რომელიც ამ ყველაზე მნიშვნელოვანი აუცილებლობის განხორციელებას შეუწყობს ხელს.

# არჩევნები არჩევნების წილ

აფხაზეთის სეპარატისტული მმართველობის მიერ საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისურმა მმართველობამ "დაუპირისპირა" ლტოლვილთა შორის პლებისციტის ჩატარება და, როგორც ჩანს, ამით ფიქრობს იქაური არჩევნების არასამართლებრიობის დამტკიცებას; ან, ყოველ შემთხვევაში, დემონსტრირებას იმისა, რომ ამის დამტკიცება სურს. რეალურად, საქართველოს ამჟამინდელი რეჟიმი, პირველ რიგში სამართლებრივი თვალსაზრისით, სრულიად უძლურია დაუმტკიცოს არძინბას მმართველობას მისი ქმედებების უკანონობა და სწორედ აქედან გამომდინარე, უძლურია ფაქტობრივი ქმედებანი დაუპირისპიროს აფხაზეთის საქართველოსგან სრული ჩამოშორების პროცესს.

ერთადერთი სამართლებრივი ფორმულა, რომელსაც უპირისპირებს შევარდნაძე და მისი პოლიტიკური კურსი აფხაზურ სეპარატიზმს, ესაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი, მისი აღიარება რუსეთის, მსოფლიოს სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (შესაბამის რეზოლუციებსა და შეთანხმებებში დაფიქსირებით). პრინციპი, რომელიც საერთოდაც ზოგადია, ჩვენს მდგომარეობაში კიდევ უფრო ზოგადდება და, არსებული ვითარების შენარჩუნების შემთხვევაშიც კი, სრულ ეფემერად შეიძლება იქცეს. ზოგადია იმდენად, რამდენადაც მას ბუნებრივად ენაცვლება მეორე, არანაკლებ აღიარებული პრინციპი ერთა თვითგამორკვევისა, რომელიც, ფაქტობრივი ვითარების სეპარატისტთა სასარგებლოდ დაფიქსირების პირობებში, შესაძლოა უფრო ქმედითიც აღმოჩნდეს.

საქართველოს შემთხვევაში სწორედ ასე ხდება: აფხაზეთის ტერიტორიაზე კონტროლს ვერ ახორციელებს საქართველოს ხელისუფლება და მეტიც, შევარდნაძე აღარც სვამს ამგვარი კონტროლის აღდგენის აუცილებლობის საკითხს; მას შეგნებულად გადააქვს აქცენტი ლტოლვილთა დაბრუნებაზე, რაც საქართველოს იურისდიქციის აღდგენის გარეშე ნიშნავს აფხაზეთის მთელი ქართული მოსახლეობის მძევლად გადაცემას.

თავად არჩევნებთან დაკავშირებითაც აქცენტი კვლავ ლტოლვილთა ფაქტორზე კეთდება და არა სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენაზე. ამის პარალელურად, ქართული დიპლომატიის მესვეურნი რუსეთის დუმის წინაშე აკეთებენ სრულიად დანაშაულებრივ განცხადებებს, რომელიც არ არის განმტკიცებული საქართველოს მოსახლეობის და საკუთრივ აფხაზეთის ქართული მოსახლეობის დასტურით: რუსეთში საქართველოს საელჩოს პრესმდივანი ჰპირდება აფხაზებს გაცილებით მეტ უფლებებს, ვიდრე რუსეთის შემადგენლობაში აქვს თათარსტანს. ამდენად, საქართველოს ხელისუფლება ასეთ დაბალ დიპლომატიურ დონეზეც კი იოლად არიგებს ერისთვის ღვთით ბოძებულ მონაპოვარს.

სათავე იმისა, რომ აფხაზეთის საკითხში საქართველო წამგებიან მდგომარეობაშია სწორედ სამართლებრივი თვალსაზრისით, არსებული ხელისუფლების უკანონობაში, მის უკანონო, არასამართლებრივ პოლიტიკაშია. პრობლემას წარმოადგენს არა ის, რომ არძინბას რეჟიმი იქცეოდა და იქცევა უკანონოდ, არამედ ის, რომ იგი უკანონობაში ბაძავს თბილისს და თავის უკანონო ქმედებებს აფორმებს როგორც რეაქციას თბილისის უკანონობაზე.

ასე იყო ომის გამომწვევი კონსტიტუციური კონფლიქტის დროს, როდესაც აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ აღადგინა 1927 წლის კონსტიტუცია თბილისში 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის ხმაურიანი დეკლარირების შემდეგ. რეალურად, 1921 წლის კონსტიტუციას ერთი დღეც არ უმუშავია, მაგრამ ნალმი აფეთქდა.

შემდეგი ეტაპი უკანონობისა - თავად ომის დაწყება, ანუ როგორც უყვართ თქმა, მაგისტრალების დაცვის მიზნით ჯარების შეყვანაა. ცხადია, არავინ აყენებს ეჭვქვეშ საქართველოს ხელისუფლების პრეროგატივას თავის ტერიტორიაზე გადააადგილოს შეიარაღებული ფორმირებები, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ის, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო, არ იყო საქართველოს ხელისუფლება, საერთოდ არავითარი ხელისუფლება არ იყო - ეს იყო მეამბოხეთა მიერ შეკოწიწებული უკანონო ორგანო, რომელსაც საერთოდ არაფრის უფლება არ ჰქონდა. თუ გენერალური პროკურორის მოადგილის, ანზორ ბალუაშვილის სიტყვებს დავეყრდნობით, 1992 წლის 11 ოქტომბრამდე კანონიერ ხელისუფლებას წარმოადგენდა განდევნილი პრეზიდენტი და უზენაესი საბჭო. პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ კი მიიღო ბრძანებულება აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მიერ 1927 წლის კონსტიტუციის აღდგენის უკანონობის შესახებ და მიმართა კიდეც არძინბას მოთხოვნით, გაეუქმებინა ეს გადაწყვეტილება და ეხელმძღვანელა იმ პრინციპით, რომ კანონიერი ხელისუფლებაა არა სახელმწიფო საბჭო, არამედ პრეზიდენტი და უზენაესი საბჭო.

არძინბას ყურად არ უღია ეს მოთხოვნა, რადგან არ აწყობდა - მას თბილისში მოქმედი უკანონო რეჟიმი აძლევდა ხელს. ამ რეჟიმს კი, თავის მხრივ, არ აწყობდა პრეზიდენტის სამართლებრივად გამართულ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობა, რამეთუ ეს დააკარგინებდა სისხლით მოპოვებულ ძალაუფლებას. ასეთ "დათმობაზე" კი, თუნდაც აფხაზეთის შენარჩუნების ხარჯზე, ისინი ვერ წავიდოდნენ.

პირიქით, აფხაზეთის დაკარგვა გადატრიალების ერთ-ერთი ფარული მოტივი იყო. საქართველოში სწორედაც უნდა ყოფილიყო უკანონო რეჟიმი, რათა ქვეყანა, სამართლებრივი თვალსაზრისით, წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩენილიყო. ამიტომაც, არც სახელმწიფო საბჭოს, არც შემდგომ "არჩეულ" პარლამენტებს გახსენებია და გამოუყენებია კანონიერი პრეზიდენტისა და მთავრობის ის გადაწყვეტილებანი, რომელიც ამ სამართლებრივი ჩიხიდან გამოსვლის გარკვეულ შანსს იძლეოდა.

და ბოლოს, გადატრიალების შემდეგ, თბილისმა უკვე ორჯერ დანიშნა და ჩაატარა არჩევნები აფხაზებისა და ოსების გარეშე. აქედან, 1995 წლის არჩევნები საერთოდ არ ჩატარებულა აფხაზეთის ტერიტორიაზე. არჩევნების ბოიკოტის მომხრე პოლიტიკური პარტიების ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი სწორედ ის იყო, რომ ამ არჩევნებით იურიდიული საფუძველი ექმნება ფაქტობრივ მდგომარეობას - საქართველო აფხაზეთისა და შიდა ქართლის გარეშე. არგუმენტი არ იქნა მიღებული.

არძინბა კი არ ჩქარობდა. იგი დაელოდა კიდევ ერთი "ახალი კონსტიტუციის" ძალაში შესვლას, მშვიდად დაელოდა ეუთო-ს შუამავლობით მოწყობილ შევარდნაძის გულთბილ საუბრებს ლუდვიგ ჩიბიროვთან, რომელთა შედეგად ოსებმა იმაზე მეტი მიიღეს, რაზეც თათარსტანიც კი ოცნებობს (ხოლო ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა, დიტერ ბოდენმა შევარდნაძის მადლობაც დაიმსახურა) და ამ იდილიის ფონზე გადაწყვიტა არჩევნების ჩატარება.

ასე რომ, აფხაზები წინ არ უსწრებენ მოვლენებს - დინჯად ბაძავენ თბილისს და კვალდაკვალ იმეორებენ შევარდნაძის ნაბიჯებს. ამდენად, უახლოეს ხანში აფხაზეთის კონსტიტუციას უნდა ველოდოთ.

*რომანოზ საგინაშვილი*

# პოლიცია ამხელს ხელისუფლებას

"პოლიცია ხელისუფლების დასაყრდენი ძალაა" - განაცხადა შს მინისტრმა კახა თარგამაძემ და, უნებლიეთ, ამხილა ხელისუფლება იმაში, რასაც მას ისედაც სდებენ ბრალად: რომ საქართველო ყალიბდება, როგორც პოლიციური სახელმწიფო. მინისტრი მართალია - ეს ხელისუფლება ეყრდნობა პოლიციას და არა ხალხის ნებას. პოლიცია ირჩევს მას, პოლიცია ასაზრდოებს მის ფინანსებს, პოლიცია უზრუნველყოფს კანონდარღვევათა ქსელის ბალანსს კანონდარევათა წინააღმდეგ ბრძოლასთან, პოლიცია ავსებს კორუფციაზე დაფუძნებული სისტემის სალაროს, პოლიცია, მატრაკვეცა მსახურივით, ფაქტობრივად, კუდში დასდევს ხელისუფლების ყველა რგოლს მთელ ვერტიკალზე და ასრულებს პირამიდის წვერიდან მომდინარე ინსტრუქციებს; და, რაც მთავარია, პოლიცია იცავს რეჟიმს ხალხისგან.

ალბათ, არა მხოლოდ ამ ხელისუფლებას და არა მხოლოდ ამ ქვეყანაში, მაგრამ აქ ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს ან თავს უფლებას ვერ აძლევენ ბოლომდე დაიცვან ფორმალური წესები და მოირგონ დემოკრატიულობის გარეგნული ატრიბუტები. ამიტომაც, ზოგჯერ ისეთი რამ წასცდებათ, რაც მათდა უნებურად ამხელს რეჟიმსა და მის მსახურებს. რად ღირდა დემურ მიქაძის ქვეცნობიერი თვითიდენტიფიკაცია ჯაბა იოსელიანთან, ოდეს ე.წ. ქურდული ტერმინებით შიშის ზარი დასცა წესრიგის დამრღვევ "ხულიგნებს", რომლებიც თავის ნებაზე "გულაობენ" ქალაქში.

გენერალური პროკურორის მოადგილის, რევაზ ყიფიანის თვითმხილება, რომ პროკურატურას ისევე ეშინოდა "მხედრიონის", როგორც რიგით მოქალაქეებს და ამიტომ ვერ ასრულებდა თავის მოვალეობას, წესითა და კანონით მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი უნდა გამხდარიყო. მაგრამ არა ჩვენთან...

ამგვარ "შედევრთა" რიცხვს განეკუთვნება ანზორ ბალუაშვილის უკანასკნელი განცხადება: "მე ერთ-ორ ჟურნალისტზე, მათ შორის დიდი თანამდებობის პირზეც, მომივიდა ინფორმაცია - ყალბი ბანკი გააკეთეს. ზოგს 40 ათასი დოლარი აქვს წაღებული, ზოგს 60 ათასი. ჯერ მათი მხილება ადრეულად მიმაჩნია. წერონ და უკეთ გაამჟღავნონ თავი. 10 ათას კაცს ხომ ვერ დაიჭერ, თორემ დასაჭერი ბევრია". ("რეზონანსი", №204, 23.10.96)

მაშასადამე, პროკურატურის რანგით მეორე პირი აღიარებს, რომ თვალს ხუჭავს დანაშაულზე მის შესაძლო სავალალო შედეგებამდე. საინტერესოა, რამდენი უნდა გაიტანონ იმ ყალბი ბანკიდან - მილიონი, მილიარდი, რათა უკეთ გამოვლინდეს დანაშაული? ან რად ღირს აღიარება იმისა, რომ ვერ დაიჭერ დამნაშავეს. 10 კაცია ბოროტმოქმედი თუ 10 ათასი, დამნაშავე უნდა დაიჭირო და დასაჯო. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ 10 ათასი დამნაშავე ჟურნალისტი, რომლებიც ყალბი ბანკებიდან ჩემოდნებით ეზიდებიან ფულებს (გასარკვევია მხოლოდ ვის ფულებს: თუ სოროსის გადმორიცხულს - იქნებ არც დაიჭირონ, ხოლო თუ "ზვიადისტ ბურჭულაძისას" - მაშინ დასაჭერია...), ცოტა არ იყოს 37 წლის სინდრომის შემცველი ჰალუცინოგენნაყლაპის ბოდვას წააგავს და სრულიად შეარყევს ქართული თემიდის ისედაც გვარიანად შელახულ სახელს.

თუმცა, არ არის გამორიცხული ამასაც მოვესწროთ - ამ ელეგანტურ ქალბატონს ხომ თვალები ახვეული აქვს და, ჩანს, ორიენტირებიც აღრევია.

*ანა ჭავჭავაძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დილემა საზოგადოების წინაშე, “ქართული აზრი“ და ზოგადად ოპოზიციური პრესა

მას შემდეგ, რაც საქართველოში ეროვნულმა ხელისუფლებამ გაიმარჯვა, ალბათ არავის ეგონა, რომ კვლავ საჭირო გახდებოდა არალეგალური პრესის არსებობა; მაგრამ ასეთი დროც დადგა და გამოჩნდა “ქართული აზრი“, რომელიც არალეგალურად იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა ხუნტისგან დამინებულ მოსახლეობაში. სწორედ ამ გაზეთმა დაუდო სათავე ოპოზიციური პრესის არსებობას ისეთ საქართველოში, სადაც ადამიანებს არა თუ სიტყვის, არამედ თვით მშვიდობიანი არსებობის უფლებაც კი წართმეული აქვთ. მაშინ არსებობდა ერთიანი წინააღმდეგობის ფრონტი და იგი მისი ლიდერის მიერ საკმაოდ ორგანიზებულად იმართებოდა. შესაბამისად, არ ხელისუფლებას მიეცა საშუალება, შეექმნა საკუთარი “ოპოზიციური“ პრესა, რომელსაც თავის სასარგებლოდ ამუშავებდა. ასეთად მან აირჩია მუდმივად ოპოზიციონერის როლში მყოფი გაზეთები, რომელებმაც “დემოკრატიული რევოლუციის“ პირობებში უკვე გაითქვეს სახელი, როგორც “სიმართლის მლალადებლებმა“.

არსებულმა ხელისუფლებამ დაუშვა ყველაფერი: პრესის კანონის დარღვევა, საინფორმაციო საშუალებებით პიროვნებების უშვერი ლანძღვა-გინება და დაარღვია თვით სახელმწიფოს მეთაურის “სპეტაკი“ სახელის ხელშეუხებლობის დოგმა.

რა მიზანს ისახავდა იმ პერიოდში ყოველიმე გაზეთმა მაინც მოახერხა თავი დაეღწია თავსმოხვეული კონიუნქტურისგან და საკუთარი ძალისხმევით შეექმნა საზოგადოებრივი აზრი მიმდინარე მოვლენებზე, რაც, ბუნებრივია, მიუღებელი გახდა ხელისუფლებისთვის. ამიტომაც, რიგ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა “ურჩი გაზეთების“ დახურვის და განადგურების მცდელობას. ამისკენ გახლდათ მიმართული ყველა ის საკანონმდებლო თუ ფინანსური სანქციაც, რომელსაც არსებული ხელისუფლება მეთოდურად ახორციელებდა ოპოზიციური პრესის მიმართ, რაც დღემდე გრძელდება.

გადატრიალების შემდგომი პერიოდის ოპოზიციური პრესის განუზომელმა პოპულარობამ არსებობდა ერთი მიზნისთვის მებრძოლი სხვადასხვა სათაურის მქონე გაზეთების გამოცემის აუცილებლობაც. “ქართული აზრი“ ყველაფერს შესანიშნავად უძლვებოდა. ამიტომაც იგი, დღემდე, (ოპოზიციური პრესის “ლეგალიზაციის“ შემდეგ) ბოლო წლების სანიმუშო გაზეთად რჩება.

დროთა მანძილზე ეროვნულ მოძრაობაში მომხდარი განხეთქილებისა და ხელოვნურად შემოტანილი დაქსაქსულობის სავალალო შედეგები, ძლიერი ოპოზიციური პრესის არსებობის საკითხსაც შეეხო. ფაქტია, რომ არსებულმა ხელისუფლებამ დაუშვა რადიკალურად ოპოზიციური პრესის არსებობის პრეცედენტი. დემოკრატიის თამაში იყო ეს თუ სრულიად გამიზნული ნაბიჯი მისი მხრიდან, დროთა მანძილზე უფრო გამოიკვეთება. ფაქტი ერთია - ეროვნულ მოძრაობაში არსებული განხეთქილების გამო ერთი, ძლიერი, კოორდინირებული ოპოზიციური გაზეთის ნაცვლად რამდენიმე, რის ვაი-ვაგლახით გამომავალი პერიოდული ორგანო შეიქმნა. ბევრმა მათგანმა ვერც კი გაუძლო არსებული რეალობით გაპირობებულ ფინანსურ თუ შემოქმედებით პრობლემებს და მალევე დაიხურა; ზოგი მათგანი არსებული ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ კონიუნქტურაში ჩაჯდა და ისე გაიტანა თავი. ხოლო რაც შეეხება დღემდე მოღწეულ რადიკალურ ოპოზიციურ პრესას, მისი გამოცემა და შენარჩუნება დიდ ფიზიკურ და სულიერ ძალისხმევასთან არის დაკავშირებული.

რადიკალურად ოპოზიციური პრესის ლეგალიზაციამ გამოიწვია ისიც, რომ არსებულ ლივე ეს? დღეს უკვე ცხადად ჩანს, რომ ხელისუფლების მხრიდან საგანგებოდ მოფიქრებული ეს ფარსი საზოგადოების გართობისა და ყურადღების მოდუნების საუკეთესო საშუალება უნდა გამხდარიყო სწორედ იმ პერიოდში, როდესაც კულისებს მიღმა ჩუმად ბარდებოდა სამაჩაბლო და აფხაზეთი, კანონდებოდა რუსეთის სამხედრო ბაზები, იძარცვებოდა საქართველო და მისი მოსახლეობა. ამ დროს ჩვენი საზოგადოება, პრესის საშუალებით, ერთობოდა ზეიკიძის პარიკის ისტორიით, ბაზალეთის ტბის პირას წარმოთქმული ყარყარაშვილის ალსარებით, განაწყენებული თენგიზ სიგუას ორაზროვანი ინტერვიუებით და კიდევ მრავალი სხვა გამოგონილი თვალთმაქცობით, რომელიც კარგად ნიღბავდა მთავარი ბოროტების მთავარ შემოქმედთ.

ყოველივე ეს რომ ზემოდან იყო ნაკარნახევი, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ იგივე უფლებები არ მიუღია ტელევიზიას. პირიქით, მას საკომპენსაციო ფუნქცია დაეკისრა. იმას, რის უფლებასაც პრესას აძლევდნენ, განსაცვიფრებელი ეფექტურობით ანეიტრალებდა ტელევიზია. იმ პერიოდში ტელევიზია იმდენად ტენდენციური და სწორხაზოვანი გახდა, რომ მისმა მუშაობამ ყველა დროის პროპაგანდისტულ-იდეოლოგიურ სამსახურს გადააჭარბა. რაც შეეხება რადიკალურად ოპოზიციურ პრესას, იგი რჩებოდა იმედგაცრუებული და დათრგუნული საზოგადოების ერთადერთ იმედად.

მიუხედავად იმისა, რომ ჭეშმარიტად ოპოზიციური პრესის ლეგალიზაცია არსებული ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა, რამობამ აიძულა ხელოვნურად შექმნილი ოპოზიციური გაზეთების უფართოესი სპექტრი, უფრო მეტი სიმართლე ეთქვათ და ამით გამხდარიყვნენ კონკურენტუნარიანნი. მათ მიეცათ შესანიშნავი საშუალება ვითომდაც ობიექტურად განეხილათ საზოგადოებაში არსებული ორი დაპირისპირებული აზრი. რასაკვირველია, მათი პოზიცია საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდა იმ ფინანსური კრიზისის პირობებში, როდესაც საზოგადოების დიდ ნაწილს არ ძალუძს სისტემატურად შეიძინოს პრესა და ისეთ გაზეთს ეძებს, საიდანაც ყველაფერს ერთად გაიგებს. ასეთი ტიპისა ვერ იქნება რადიკალურად ოპოზიციური პრესა, რომელიც არ ცნობს და არ თანამშრომლობს ნომენკლატურასთან. ამიტომაც, შესაბამისად, ნაკლებად მრავალფეროვანია და მას მხოლოდ საზოგადოების ერთი, გარკვეული ნაწილი კითხულობს.

შეიძლება ხვალ, არსებული ხელისუფლების ძალისხმევის გარეშეც, ფინანსური და შემოქმედებითი კრიზისის გამო თანდათან დაიხუროს ის ორიოდე ეროვნული გაზეთი, რომელსაც დღემდე უკომპრომისოდ მოუტანია თავი. ეს იცის არსებულმა ხელისუფლებამ და ამიტომაც არ ჩქარობს რადიკალური ზომების მიღებას, ოღონდ დროდადრო ავიწროებს და სდევნის მას. და არ არის გამორიცხული, რომ სულ მალე “ქართული აზრის“ გამოცემის საჭიროება კვლავ დღის წესრიგში დადგეს. და, შესაძლოა, გამოსავალიც სწორედ ეს იყოს.

**ქეთევან ქურდოვანიძე**

# ჟურნალისტები მოითხოვენ მათი უფლებების დაცვას

**როგორც ცნობილია, ამას წინათ პროკურატურაში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს წარუდგინეს ხობიდან ჩამოყვანილი, “ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის“ ერთ-ერთი მოწმე გელა ქაცარავა, რომელმაც უარყო მის მიერ ჟურნალისტებისთვის ინტერვიუს მიცემის ფაქტი და დაადასტურა სასამართლოზე მიცემული ჩვენება ლოთი ქობალიას წინააღმდეგ.**

31 ოქტომბერს ჟურნალისტებმა, რომლებმაც ინტერვიუ ჩამოართვეს გელა ქაცარავას, გამართეს პრესკონფერენცია და აუწყეს თავიანთ კოლეგებს, რომ ქაცარავას ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ მათ მიმართ ადგილი აქვს მუქარასა და ფსიქოლოგიურ ზეწოლას. თამარ ბატიაშვილმა (გაზეთი “დრო“) და მაია ივანელაშვილმა (გაზეთი “ახალი თაობა“) გამოთქვეს გაოცება იმის გამო, რომ არ იყვნენ მიწვეულნი პროკურატურის პრესკონფერენციაზე ქაცარავასთან დასაპირისპირებლად.

“- ჩვენ, როგორც ჟურნალისტები, ვესწრებოდით ამ სასამართლო პროცესს და ავსახავდით იმას, რაც იქ ხდებოდა. ჩვენ არ ვემხრობით და არ გამოვხატავთ რომელიმე მხარის ინტერესებს. უბრალოდ, ჩვენამდე, ისევე როგორც სასამართლომდე, მოვიდა გელა ქაცარავას დედის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ მის შვილს ფიზიკური ზეწოლის ქვეშ ჩამოართვეს ლოთი ქობალიას საწინააღმდეგო ჩვენება. ამის შემდეგ ქაცარავამ სასამართლოზე მართლაც დაადასტურა ქობალიას ბრალეულობა. ბუნებრივია, გაგვიჩნდა ინტერესი გაგვერკვია ჭეშმარიტება. ჩავედით ხობში, შევხვდით ქაცარავას და მის მშობლებს. როგორც მან გვითხრა, მართლაც ჰქონია ადგილი ზეწოლას როგორც ადგილობრივ პოლიციაში, ისე შსს-ში და თვით მოსამართლე ალადაშვილის ბინაში. ჩვენ დავბეჭდეთ ის, რაც თვითონ ქაცარავამ განაცხადა“.

ამის შემდეგ ჟურნალისტებმა დამსწრეთ მოასმენინეს გელა ქაცარავასგან აღებული ინტერვიუს აუდიოჩანაწერი, რომელშიც მოწმე აღწერს, თუ როგორ მოუხდა სასამართლოზე ყალბი ჩვენების მიცემა. პარალელურად კი გაისმის მისი დედის აღშფოთებული შეძახილები: როგორც აღმოჩნდა, თვით მშობლებსაც კი არ სცოდნიათ სრულად, თუ რა ჩვენების მიცემა მოუწია მათ შვილს სასამართლოზე და რა მეთოდები ყოფილა მის მიმართ გამოყენებული.

ზაირა მიქატაძემ (გაზეთი “რეზონანსი“) განაცხადა: “თავისთავად ის ფაქტი, რომ მოწმე ხან ერთს ამბობს, ხან მეორეს, ეჭვებს ბადებს და ეს, უდავოდ, საჭიროებს ჩვენს ყურადღებას.“

პრესკონფერენციაზე ასევე ითქვა, რომ პროკურატურა და სასამართლო, რატომღაც ეჭვქვეშ აყენებს დამოუკიდებელი პრესის უფლებას ინტერვიუ ჩამოართვას სასამართლოზე მოწმედ დაკითხულ პირებს, მაშინ როდესაც სასამართლოზე მტკიცების სახით იქნა წარმოდგენილი “მაცნე“-ს კორესპონდენტის მიერ, პროკურატურის თანამშრომლების თანდასწრებით, წინასწარი ძიებისას ერთ-ერთი მოწმისგან აღებული ვიდეოინტერვიუ.

**ირაკლი დგებუაძე**

**განსასჯელად წარმოდგენილ პოლიტპატიმრებს სიტყვის უფლებაც წაერთვათ: 16 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე ადვოკატებს არ მიეცათ საშუალება წაეკითხათ განცხადებები. “ჩვენ ეს არ გვაინტერესებს“ - ამგვარად ახსნა თავისი მოქმედება მოსამართლე ალექსანდრე ალადაშვილმა**

# თქვენი განაჩენი დიდი ხანია გამოტანილია

ჩემს მიმართ, არც თავიდანვე და არც დღეს, არ ყოფილა წაყენებული რაიმე კონკრეტული ბრალდება. კვაზისახელმწიფო, დღიდან ჩემი იზოლაციისა, ისახავს ერთადერთ მიზანს - მომიცილოს როგორც პოლიტიკური ოპონენტი, რომლის საწინააღმდეგო ლოგიკური არგუმენტები დღევანდელ ტოტალიტარულ რეჟიმს არ გააჩნია. ეს სასამართლო ფარსიც მხოლოდ ამ მიზანს ემსახურება.

თავიდანვე აღვნიშნე, ეს არ არის სასამართლო და, საერთოდაც, დღევანდელ ფსევდოსახელმწიფოში არ არსებობს არავითარი სასამართლო: ის, რასაც დღეს სასამართლოს უწოდებენ, ფეხქვეშ აქვს გაგდებული დიქტატორს. ამიტომ, არ არსებობს არავითარი შანსი სამართლიანი გადაწყვეტილება-განაჩენისა.

თავად განსაჯეთ:

1. არ ჩატარებულა არც ერთი დაპირისპირება ჩემთან;
2. არც ერთი გამოსული მოწმე არ მამხელს ბრალდებისაგან ინკრიმინირებულ დანაშაულში;
3. პირიქით, უკლებლივ ყველა დაკითხული მოწმე აღნიშნავს ჩემი ქმედებების პოზიტიურ ხასიათს;
4. მთელი პროცესის განმავლობაში არც ბრალდებას შეუწუხებია თავი, პირადად ჩემთვის დაემტკიცებინა რაიმე კონკრეტული დანაშაული;
5. მე, ჩემის მხრივ, წაყენებული მაქვს რამდენიმე უმძიმესი კონკრეტული ბრალდება არსებული რეჟიმის და მისი მეთაურის მიმართ და არავის, თვით დიქტატორის ერთგულეს ლაქიებსაც კი, არ უცდიათ ამ ბრალდებების გაქარწყლება ან თუნდაც პარირება;
6. დარღვეულია, თანაც უხეშად, სისხლის სამართლისა და პროცესუალური კოდექსის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პუნქტები;
7. “მოსამართლე“, მთელი პროცესის განმავლობაში, ახორციელებდა უხეშ, უცერემონიო ზეწოლას მოწმეებზე; ისიც კი იკადრა, ერთ-ერთი მოწმე დასამუშავებლად შინაგან საქმეთა სამინისტროდან სახლში წაიყვანა და, სასურველი ჩვენების მიუცემლობის შემთხვევაში, ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდა;
8. ე.წ. მოსამართლე, თვით მისივე განცხადებებით, თვეში მინიმუმ ოთხჯერ არღვევს კანონს. ამიტომ მან თვითონ ჩაიყენა თავი უნიკალურ პოზიციაში. კანონის დამრღვევ მოსამართლეს განაჩენის გამოტანის უფლება არა აქვს, მითუმეტეს, თუ ეს განაჩენი ადამიანის სიცოცხლეს ეხება.

რაც შეეხება ეგრეთ წოდებული ბრალდების შუამდგომლობას “სასამართლოს“ წინაშე, იგი გამოირჩევა პაპუასის ლოგიკით: ვინაიდან სამშობლოს ღალატი უნიკალური შემთხვევაა, ამ ფაქტის დადასტურების შემთხვევაში არ არსებობს არავითარი შემამსუბუქებელი გარემოებები. ამასვე აღნიშნავს ბატონი სახელმწიფო ბრალმდებელი. ამიტომაც, გონიერების ზღვარს სცილდება მის მიერ დაყენებული შუამდგომლობა. სწორედ ეს შუამდგომლობა ამხელთ ამ პროცესის რეჟისორებს როგორც უუნარო, უსუსურ და უსინდისო ფალსიფიკატორებს: ერთსა და იმავე პირობებში “ჩადენილი“ ერთი და იგივე “დანაშაულისთვის“ პროკურორმა მოითხოვა სამი ადამიანის დახვრეტა და ერთისთვის - 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. რატომ? იქნებ დაასახელოთ მოტივი ბატონო ბრალმდებელო. თქვენ მას ვერ დაასახელებთ. სახეზეა პოლიტიკური დისკრედიტაციის მიზნით ჩატარებული ფსიქოლოგიური ტერაქტი.

აი, სულ ეს არის. მე თავიდანვე განვაცხადე - არ მაინტერესებს და არც ველოდები განაჩენს; განაჩენს დამნაშავენი ელოდებიან. თქვენი განაჩენი კი, ბატონებო, დიდი ხანია გამოტანილია. მხოლოდ დრო გვაცილებს ამ განაჩენის აღსრულების მომენტს. ეგ დროც აუცილებლად დადგება.

**ნუგზარ მოლოდინაშვილი**

10 ღვინობისთვე, 1996 წელი

# სასამართლო სპექტაკლის დეკორატორს

ა. ალადაშვილს

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის, ზვიად ძიძიგურის**

განცხადება

1996 წლის 7 თებერვალს ჩემს მიერ გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნულ პროცესს ვუწოდე სპექტაკლი, პოლიტიკურ ოპონენტთა წინააღმდეგ მიმართული ანგარიშსწორება.

ისევ და ისევ ვაცხადებ, რომ ჩვენ, კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებს, გვსჯის არა კანონი, არამედ დღევანდელი ხელისუფლება, რომელმაც რუსეთის სპეცსამსახურების დახმარებით, 1991-92 წლების მიჯნაზე, მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია სამხედრო გადატრიალების გზით; რომელმაც თავად დაარღვია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა; ქვეყნის სუვერენიტეტის საზიანოდ საზღვრებზე განალაგა უცხო, დაინტერესებული ქვეყნის შეიარაღებული ნაწილები; მოაწყო საკუთარი ხალხის გენოციდი; ხალხის ნების საწინააღმდეგოდ და ქვეყნის სუვერენიტეტის შელახვით, ქვეყანა შეიყვანა ახალ იმპერიულ გაერთიანება დსთ-ში.

1990 წლის 28 ოქტომბრიდან დღემდე ჩემი, როგორც უზენაესი საბჭოს წევრის ქმედანი შეესაბამებოდა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს განკარგულებებსა თუ დადგენილებებს. ამ პერიოდში ჩემი საქმიანობის შეფასება იმ პროკურატურისა და სასამართლოს მიერ, რომელთაც თავად უღალატეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და მოქმედ კანონმდებლობას, არის ცინიზმი და დანაშაული საკუთარი ერის წინაშე.

ანგარიშსწორების ამ პროცესზე კიდევ ერთხელ წარმოჩინდა, რომ დაცვის უფლება, რომელიც თითქოს გააჩნია ბრალდებულს ან განსასჯელს, მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. დადასტურდა, რომ დამცველის ინსტიტუტის არსებობა დღევანდელ საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის თვალის ახვევის მცდელობაა. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ მთელი ამ წარმოდგენის მანძილზე ვერ მოახერხე ხელშეკრულება გამეუქმებინა ადვოკატ ოთარ ჩილოშვილთან მასზე სასამართლოს მხრიდან ზეწოლის გამო და იგი, ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ, ესწრებოდა სასამართლო სპექტაკლის ყველა მოქმედებას, რითაც ქმნიდა ჩემი დაცვის არსებობის ყალბ სურათს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვთვლი, რომ არაფერი მჭირს დასაცავი და კატეგორიულად ვუკრძალავ ჩემს ე.წ. დამცველს, ოთარ ჩილოშვილს, წარმოთქვას დაცვითი სიტყვა. მიმაჩნია, რომ ა. ალადაშვილი ამ ყალბი, უმაქნისი პროცედურის გარეშეც მოახერხებს შეასრულოს ის, რასაც მმართველი რეჟიმი უბრძანებს.

1996 წლის 16 ოქტომბერი

# ვშუამდგომლობ გათავისუფლებულ იქნეს ვახტანგ ქობალია

### ოთარ ფანქველაშვილი - ვახტანგ (ლოთი) ქობალიას ადვოკატი

**საბრალდებო დასკვნით, ვახტანგ (ლოთი) ქობალიას ბრალად ედება ექვსი პირის განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში, რაც გამოიხატა იმაში, რომ ვითომ, 1993 წლის 28 ოქტომბერს, დილის 11 საათზე ლოთი ქობალიამ გასტრონომთან დახვრიტა სამი გვარდიელი, იმავე დღეს კი, დაახლოებით 15 საათზე, ხიდთან დახვრიტა ჟურნალისტი ბოლქვაძე და ორი გვარდიელი.**

**სახელმწიფო ბრალდებამ ეს დანაშაული დადასტურებულად ჩათვალა მოწმეთა - კუტალია ბონდოს, შენგელია ნატოს, ქაცარავა გელას, ბიწაძე ეთერის და სხვათა ჩვენებებზე დაყრდნობით.**

**გავაანალიზოთ ამ მოწმეთა ჩვენება და თავადაც დარწმუნდებით პატივცემულო მოსამართლენო, რომ ლოთი ქობალიას არ ჩაუდენია მკვლელობა.**

(დასაწყისი იხ. "თავისუფალი საქართველო" №38)

## არა ცრუ, არამედ შეშინებული მოწმეები

### კუტალია ბონდო

პატივცემულო მოსამართლენო, მე მხოლოდ მიზეზებს ჩამოვთვლი, თუ რატომ არ შეიძლება მოწმე ბონდო კუტალიას ჩვენებების გაზიარება:

- ბონდო კუტალიას დაქვეითებული აქვს მხედველობა უკვე 3-4 წელიწადია და ხმარობს ნომრიან სათვალეს, ხოლო იმ დღეს, როდესაც ხობში იგი ორი მკვლელობის ეპიზოდის თვითმხილველი გახდა, სათვალე თან არ ჰქონდა.

- ბონდო კუტალიას არ შეუძლია თვალთახედვით დაადგინოს მანძილი რაიმე ორ სხეულს შორის. ეს სასამართლო დარბაზშიც გამოჩნდა, როდესაც მოწმემ ვერ გვიპასუხა, თუ რა მანძილია კედლებს შორის. ხოლო გამოძიებაში კი, ნახაზიც შეასრულა და მიუთითა მანძილი ყველა ობიექტს შორის.

- მოწმე კუტალიას ლამაზად აქვს ჩვენება ჩამოყალიბებული, რაც არ შეესაბამება მის ინტელექტს. მოწმემ არ იცოდა იმ სიტყვების მნიშვნელობა, რომლითაც აგებული აქვს წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება. ასე მაგალითად: მოწმემ არ იცოდა თუ რას ნიშნავს სიტყვა გააფთრებული. აგრეთვე, მოწმემ ვერ გაიხსენა სიტყვა ვიდეოკამერა, შეიარაღებული ჯგუფი და, შესაბამისად, უწოდა მათ "იაშიკი", "გრუპა" და სხვა მრავალი.

- დაბოლოს, ბონდო კუტალიას, ყველა სიკეთესთან ერთად, მეხსიერებაც დაქვეითებული აქვს. წინასწარი გამოძიების დროს მოწმეს ნაჩვენები აქვს, რომ ქობალიას უთხრეს ტყვეების გვარები - გოგილაშვილი, ცქიტიშვილი და დავითაშვილი - მე ახლოს მივიწიე და გავიგონეო. სასამართლო განხილვისას კი ჯერ განაცხადა, რომ არ გამიგია, საერთოდ რა გვარებისა იყვნენო, შემდეგ კი თქვა, ტელევიზიით მოვისმინე ერთხელ მათი გვარები, დავიხსომე და დავწერე ჩვენებაშიო. შემდეგ გამოქვეყნდა ჩვენება, სადაც ექვსივე დაღუპულის გვარი ჰქონდა ჩამოთვლილი ბონდო კუტალიას. შეხსენების შემდეგ ვთხოვეთ, გაემეორებინა დაღუპულთა გვარები, რაც მოწმემ ვერ მოახერხა და შერცხვენილმა დატოვა სასამართლო დარბაზი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიამ მოწმე კუტალიას ჩვენება არ უნდა გაიზიაროს და არ შეაფასოს როგორც მტკიცებულება.

### შენგელია ნატო

ახლა შევეცდები გავიხსენო ჩვენება, რომელიც მოგვცა მოწმე ნატო შენგელიამ.

დაკითხვა დაიწყო 11:40 წუთზე. მიუხედავად იმისა, რომ ვთხოვეთ მოეცა ჩვენება, იდგა ჩუმად 10 წუთის განმავლობაში, შემდეგ იკითხა - "რაზე"? ამის შემდეგ მოწმემ კიდევ ერთი ძვირადღირებული სიტყვა გვაჩუქა -"დავწეროო"? და გააგრძელა დუმილი. თქვენ, პატივცემულო მოსამართლევ, აუხსენით, რომ არ შეიძლება წერილობითი ჩვენების მიცემა. მოწმე კვლავ დუმს. თქვენ შეეკითხეთ - ხომ არ დაგაშინა ვინმემ, რომ ჩვენება არ მისცეო? - "არა", იყო პასუხი, კონკრეტული და ამომწურავი.

12:05 - გამოცხადდა შესვენება 15 წუთით. სხდომა განახლდა 12:22 წუთზე. თქვენ, პატივცემულო მოსამართლევ, კვლავ ცდილობთ აალაპარაკოთ მოწმე: - აღწერეთ რა მოხდა ხობში, რაზე დაიკითხეთ?

- "დავწერ" - გაისმა ნანატრი ხმა.

12:25 წუთზე, თქვენი განმარტების მიუხედავად, რომ არ შეიძლება წერილობითი ჩვენების მიცემა სასამართლოზე, მოწმე ნატო შენგელიას გამოუყავით სამუშაო მაგიდა და ისიც შეუდგა წერას.

12:45 წუთზე თქვენ წაიკითხეთ ნაწერი: ოცი წუთის შემდეგ, ქ-ნმა ნატო შენგელიამ დაწერა: "28 ოქტომბერს ლოთი ქობალიას მოუყვანეს ჟურნალისტი".

კვლავ გამოცხადდა შესვენება 15 წუთით. 13:10 წთ-ზე განახლდა სასამართლო. მოწმემ კვლავ ითხოვა, დავწერ ჩვენებასო და მიუჯდა მაგიდას. "მე არ მოგცემთ ჩვენებას, რადგან მემუქრებიან დასავლეთში - ხობში. ყველას ვერ ჩამოვთვლი, ვინც მემუქრება." მე არ ვიცი, ვინ რა უთხრა მოწმე ნატო შენგელიას შესვენებისას, მაგრამ მისი ჩანაწერი, რომელსაც მან ნახევარი საათი მოანდომა, სწორედ ასე გამოიყურებოდა.

ჩემს შეკითხვაზე მოწმე შენგელიამ განმარტა, რომ 1994 წლის ივნისში, როგორც "ზვიადისტი", დააკავა ზუგდიდის მილიციის უფროსმა; რომ დაკავებული იყო 20 დღის განმავლობაში და იჯდა ზუგდიდში, "კამერაში" ანუ საკანში. მან ასევე განაცხადა, რომ ქობალიას არ იცნობდა და მასთან არასდროს უსაუბრია. შეკითხვაზე, თუ ვინ ესროლა ბოლქვაძეს, მოწმის პასუხი იყო: "არ ვიცი ვინ ესროლა, არ დამინახავს".

13:55 წუთზე კვლავ გამოცხადდა შესვენება. 14:40 წუთზე დასვენებული მოწმე ნატო შენგელია აგრძელებს სასამართლო შემადგენლობის მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხად დუმილს.

წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენებებიდან გაირკვა, რომ ნატო შენგელია აცხადებს, რომ ორივე ეპიზოდის თვითმხილველია და ნახა, თუ როგორ ესროლა ქობალიამ ბიჭებს. აღმოჩნდა, რომ თურმე ქობალიას ძალიან კარგად იცნობს და პირადად არაერთხელ უსაუბრია მასთან. ჩვენებების გამოქვეყნებისა და ვიდეომასალის ხილვის შემდეგ, კვლავ გაგრძელდა ნატო შენგელიას დაკითხვა, რომელიც ყველა ჩვენს შეკითხვას კონკრეტულად და ამომწურავად... დუმილით პასუხობდა. ასეთი გახლდათ ნატო შენგელიას ჩვენება.

### ქაცარავა გელა

საბრალდებო დასკვნით გელა ქაცარავამ აჩვენა:

... 28/X - 93 წელს, ბრძოლებში ვიღებდი მონაწილეობას. ხობისწყლის ხიდის ბოლოს, იქ, სადაც ლამპიონი და აგურით ნაშენები კომერციული მაღაზია დგას, დავინახე, რომ სამხედრო ფორმაში ჩაცმული 30-40 კაცი იდგა - ლოთი ქობალიას ბიჭები. მათ დატყვევებული ჰყავდათ სამი ახალგაზრდა კაცი. ურტყამდნენ, ცემდნენ ამ სამ ბიჭს... ამ დროს იქ მივიდა რამდენიმე ავტომობილი - "უაზიკები", "რაფი" და გრძელი, ანტენიანი, თეთრი ფერის საზღვარგარეთული მანქანა. გადმოვიდა ლოთი ქობალია. მას ყავისფერი ტყავის "კურტკა" ეცვა, ქვემოთ კი სამხედრო ფორმა. ხელში ეჭირა რაღაც გრძელი "პისტოლეტი", იგი მიიჭრა ამ ბიჭებთან და ესროლა სამივეს. ჯერ ესროლა ქერათმიან ბიჭს (როგორც შემდეგ გავიგე, ეს ყოფილა ჟურნალისტი დათო ბოლქვაძე). ამ დროს დანარჩენი ორი რაღაცას ყვიროდა. როცა ბოლქვაძე წაიქცა, ლოთი ქობალიამ მათაც ესროლა. შემდეგ იქ ვიღაცას დაუძახა: - რას უყურებ ესროლეო - და იმანაც ესროლა ბიჭებს.

მინდა მოგახსენოთ, რომ მოწმე გელა ქაცარავას ჩვენებები, მიცემული წინასწარი გამოძიებისას, ძალზედ განსხვავდება ერთმანეთისგან. ასე მაგალითად, მეორე ჩვენებაში მოწმე აცხადებს: როცა მოდიოდა სახლიდან და არა სამარი მოქმედებებიდან, დაინახა, როგორ მივიდა ლოთი ქობალია იმ ბიჭებთან და ესროლა ერთერთს. ქაცარავას შეეშინდა და გაიქცა. როცა გარბოდა, კვლავ გაიგონა სროლის ხმა, მაგრამ ვინ ისროლა არ იცის. განსხვავებები ორ ჩვენებას შორის მან ახსნა იმით, რომ პირველი ჩვენების მიცემისას აღელვებული იყო და რას წერდა, თვითონაც არ იცოდა.

სასამართლო განხილვისას მან აჩვენა, როგორ არ ახსოვს არც წელი; არც თვე და არც დრო, რომ მოდიოდა ბებიამისის სახლიდან. ხობისწყალთან რომ მივიდა დაინახა, რომ გაჩერდა თეთრი მანქანა და იქედან გადმოვიდა ლოთი ქობალია. რაღაც გრძელი "პისტოლეტი" გადაიქცა "სტეჩკინის" კონსტრუქციის ცეცხლსასროლ იარაღად. ქობალიამ უთხრა ბოლქვაძეს "შენ გეძებდიო" და ესროლა.

- 30-40 კაცის ნაცვლად მოწმემ თქვა, რომ ხიდთან 15-20 ფორმიანი კაცი იდგაო. შემეშინდა, ხიდიდან გადავხტი და იქ დავიმალეო. როდესაც ხიდის ქვეშიდან ამოვედი, ქობალია კიდევ იქ იდგა და გვარდიელებს ელაპარაკებოდაო. ორი ცხედარიც იქვე ესვენა, ხოლო ერთი დაჭრილი იყო და 06 მარკის ავტომობილით საავადმყოფოში წაიყვანესო.

ზემოაღნიშნული ჩვენება სიმართლეს არ შეეფერება, რადგან ბოლქვაძესთან ერთად დახვრეტილები იყვნენ ონანაშვილი და ბალალაშვილი და არც ერთი მათგანი საავადმყოფოში არ წაუყვანიათ. უბრალოდ, მოწმე არასწორად იყო ინფორმირებული და ორი სხვადასხვა ეპიზოდის დეტალები ერთმანეთში აერია.

აქვე მინდა გავიხსენო, თუ რა ვითარებაში მოხდა მისი დაკითხვა. მოწმე გელა ქაცარავამ განაცხადა, რომ 1993 წელს იგი დაჭერილ იქნა "სპეცნაზის" მიერ. მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს საკუთარ სახლში - "გამლახეს, იარაღი რატომ არ გაქვსო, ორი კაცი მცემდა ერთი საათის განმავლობაში, დანარჩენები უყურებდნენ. პოლიციაში მიყვანისას, სამორიგეოში, კვლავ გააგრძელეს ჩემი ცემა. მირტყამდნენ ხელებით, ფეხებით, ავტომატის კონდახით. შემდეგ იარაღი მომადეს პირზე. მე შემეშინდა".

გელა ქაცარავა 12 დღის განმავლობაში უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა, ყოველგვარი სანქციისა და ბრალდების გარეშე, ვითომდა კომენდანტის საათის დარღვევისთვის.

- ბოლქვაძის საქმესთან დაკავშირებით პირველად სამორიგეოში დამკითხესო - აცხადებს მოწმე - ეს მოხდა 18 ნოემბერს, მისი დაკავებიდან პირველ დღეს და არ არის გასაკვირი, რომ ამბობს -აღელვებული გახლდით და რას ვწერდი არ ვიციო.

კიდევ ერთ ფაქტზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. როგორც მოწმე გელა ქაცარავამ აჩვენა, ის და ბონდო კუტალია ერთად ჩამოვიდნენ თბილისში, სადაც ერთად უნდა მომხდარიყო მათი ქობალიასთან დაპირისპირება. ბ-ნი გელა ამტკიცებდა, რომ დაპირისპირებას ქალი არ ესწრებოდა - ვიყავით მე, ლოთი ქობალია და კიდევ ორი კაცი, ერთი კაცი ადვოკატი იყოო. ქალის ყოფნა ქაცარავამ დაბეჯითებით უარყო, ხოლო როგორც მოგეხსენებათ, ლოთი ქობალიას ინტერესებს წინასწარ გამოძიებაში იცავდა ადვოკატი ქალბატონი - ლეილა ბერიაშვილი. ამის შემდეგ ჩაერიეთ თქვენ, პატივცემულო მოსამართლევ, მოწმეს პასუხი უკარნახეთ: იქნებ იყო და არ გახსოვსო. თქვენი ჩარევის შემდეგ მოწმემ შეცვალა ჩვენება.

მე უამრავი სამართალდარღვევის ფაქტი აღვნიშნე და ვიმედოვნებ, რომ სასამართლო კოლეგია არ დატოვებს ამ ფაქტებს რეაგირების გარეშე, ხოლო ჩემი მიმოხილვა მოწმე გელა ქაცარავს ჩვენების გარშემო მინდა დავასრულო იმით, რომ მას ვუწოდო "ცრუ მოწმე" უფრო სწორად კი "შეშინებული მოწმე", და კიდევ ერთხელ დაბეჯითებით გავიმეორო, რომ მისი ჩვენება არ შეეფერება სინამდვილეს და არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს, როგორც თვითმხილველის ჩვენება.

(გაგრძელება იქნება)

# პოლიტპატიმარ მალხაზ ღვინიაშვილის ჯანმრთელობა საფრთხეშია

### საპატიმროებში კვლავ მძვინვარებს ტუბერკულოზი

გასულ კვირას, ე. წ. "ანძების აფეთქების საქმეზე" მსჯავრდებული მალხაზ ღვინიაშვილი, რომელსაც მისჯილი აქვს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, ავჭალის მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გამო. მალხაზ ღვინიაშვილი უკვე რამდენიმე წელია დაავადებულია კავერნოზული ტუბერკულოზით, რის გამოც მას პერიოდულად სტაციონარში ათავსებენ მკურნალობის კურსის ჩასატარებლად. ამჟამად მას სისხლისდენა დაეწყო, რაც ფილტვის ქსოვილის რღვევის მაჩვენებელია.

ჩვენ ადრეც აღვნიშნეთ, რომ საპატიმროებში გავრცელებულ დაავადებათა შორის ტუბერკულოზი პირველ ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ პოლიტპატიმართა უმრავლესობას დაპატიმრებამდე არ ჰქონია ეს სენი და სწორედ საპატიმროებში არსებული აუტანელი პირობების გამო დაავადდნენ ტუბერკულოზით. რამდენიმე მათგანის მდგომარეობა ამჟამად უკვე კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა და რეალურ საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტპატიმართა მიმართ გამოტანილი განაჩენებიც დროში გაჭიმული მკვლელობაა.

# ამქვეყნად ყველა უსამართლობა სიმართლის სახელით კეთდება

### მარინე ალანია - ჯამბულ ბოკუჩავას ადვოკატი

(დასაწყისი იხ. "თავისუფალი საქართველო" №38)

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ზ. გამსახურდიას ჩამოუყალიბებია სამშობლოს მოღალატეთა ორგანიზებული ბანდა, რომლის შემადგენლობაში, სხვებთან ერთად, დასახელებულია ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი განსასჯელი ჯამბულ ბოკუჩავა.

ფაქტიურად, საქმის მასალებიდან გამომდინარე და თვით ჯ. ბოკუჩავას ჩვენებებით, ირკვევა, რომ იგი წლების განმავლობაში ცხოვრობდა უკრაინის რესპუბლიკაში და იშვიათად ჩამოდიოდა საქართველოში.

1991 წლის 24 დეკემბერს უკრაინის ტელევიზიით მან გაიგო საქართველოში მომხდარი ამბები და 28 დეკემბერს ჩამოვიდა ზუგდიდში, სადაც უკვე იმართებოდა პრეზიდენტის მხარდასაჭერი მიტინგები. ნათელია, რომ ჯ. ბოკუჩავას საქართველოში ჩამოსვლის მიზანი იყო გვერდში დადგომოდა პრეზიდენტს და სამშობლოსთვის მძიმე დღეებში ყოფილიყო ქვეყნის სამსახურში. შეუძლებელია ამ პერიოდში სცოდნოდა ჯ. ბოკუჩავას, რომ მოვლენები ისე განვითარდებოდა, რომ "პრეზიდენტი გამსახურდია მასთან ერთად ჩამოაყალიბებდა სამშობლოს მოღალატეთა ორგანიზებულ ბანდას". /იხ. საბრალდებო დასკვნა/.

სწორედ ამ მოსაზრებით, წინასწარი გამოძიება არ ჩაუღრმავდა ჯ. ბოკუჩავას საქართველოში ჩამოსვლის მიზანს. კანონის შესაბამისად, ყველგან და ყოველთვის, წინასწარი გამოძიება ვალდებულია გაარკვიოს დანაშაულის ჩადენის მიზეზი, მოტივი და მიზანი. ძიებამ ეს საქმე აქცია 49 ტომად და ერთი წინადადებაც არ მიუძღვნია ამ საკითხების გარკვევისთვის.

დღიდან ჩამოსვლისა, იცავდა რა სახელმწიფო ხელისუფლებას და კანონს, ჯ. ბოკუჩავას წინაშე არ დამდგარა ალტერნატივა. მისი მოსაზრებით ძალაუფლება, კანონიერად და სამართლებრივად, უნდა დაბრუნებოდა კანონიერ ხელისუფლებას და ყველა ღონისძიების გატარებას მოწინააღმდეგის მიმართ კანონიერად თვლიდა.

საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ, ბატონმა ანზორ ბალუაშვილმა, განაცხადა, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას "1992 წ. 11 ოქტომბრამდე ბრალს ვერ დასდებ, რადგან ისინი იბრძოდნენ თავისი ხელისუფლების აღსადგენად. ამისთვის კი ცივილიზებულ სამყაროში ორი გამოსავალია - ან უნდა დაბრუნებულიყვნენ ყველა გზითა და საშუალებით, ან უნდა დანიშნულიყო ახალი არჩევნები".

მაშასადამე, 1992 წლის 11 ოქტომბრამდე ჩადენილ ქმედებებზე თვით პროკურატურა გვიჭერს მხარს, რომ ჩავთვალოთ მათი მოქმედება კანონიერად.

ახლა კი, მოწმეთა და განსასჯელთა ჩვენებებზე დაყრდნობით, ყურადღებას გავამახვილებ 11 ოქტომბრის არჩევნებზე:

1. არჩევნები დაინიშნა არაკანონიერი ორგანოს მიერ, რომელსაც არ ჰქონდა ამის უფლება;

2. დაირღვა არჩევნების პერიოდულობის კანონი;

3. უკანონოდ მიიღეს ახალი საარჩევნო კანონი, რომლის მიხედვითაც არ იყო დაწესებული ქვოტა ამომრჩეველთათვის; მიუხედავად იმისა, თუ ამომრჩეველთა რამდენი პროცენტი მივიდოდა საარჩევნო ყუთებთან, არჩევნები მაინც ჩატარებულად ჩაითვლებოდა;

4. არჩევნები უნდა ჩატარებულიყო ფორმულით - "ყველას მინუს ერთი". ეს "ერთი" გახლდათ ზ. გამსახურდია. ამით მისი არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლა გამოირიცხა;

5. ფაქტობრივად, ქვეყანაში მიმდინარეობდა ომი. აფხაზეთი იმყოფებოდა ცეცხლის ალში.

6. საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების იურისდიქციას არ ემორჩილებოდა ცხინვალის რეგიონი. მისი იურისდიქცია არ ვრცელდებოდა არც სამეგრელოს ტერიტორიაზე.

ეს დაადასტურეს თავიანთ ჩვენებებში როგორც განსასჯელებმა, ასევე მოწმეებმა - თ. დიხამინჯიამ, თ. პაატაშვილმა, ნ. ნათაძემ, რომელთაც უშუალო შეხების წერტილები ჰქონდათ ამ საკითხებთან და, ამდენად, ეჭვქვეშ დააყენეს ამ არჩევნების საყოველთაობა და სრულფასოვნება.

სწორედ ამ დასკვნებიდან გამომდინარე, განსასჯელები თავიანთ მოქმედებას კანონიერად თვლიან არჩევნების შემდეგაც.

(გაგრძელება იქნება)

# მალე 29 აგვისტოს ტერაქტის საქმე განიხილება

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ე.წ. 29 აგვისტოს ტერაქტის საქმეს - გ. ონიაშვილის, გ. გელაშვილის, შ. რატიანის, გ. ნანაძის და სხვათა მიმართ, მალე განიხილავს უზენაესი სასამართლო. საქმე გადაეცა უზენაესი სასამართლოს წევრს, ჩვენთვის ნაცნობ მოსამართლეს - ჯემალ ცისკარაშვილს. როგორც ჩანს,. უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ ცისკარაშვილმა გორის ბატალიონის უფროსის, სამხედრო ტყვის - რამაზ ვანიშვილის პოლიტიკურ პროცესს წარმატებით გაართვა თავი. ამდენად, მოსალოდნელია, რომ მომავალ პროცესზე განსასჯელებთან მოსამართლის "მოლაპარაკების" შედეგად, მათი პოლიტიკური განცხადებები სხდომაზე წაკითხვის გარეშე, პირდაპირ საქმეში ჩაიდება; ჩვენების ფორმულირებაში პოლიტპატიმრებს აქტიურად "დაეხმარება" კეთილგანწყობილი მოსამართლე, დაიკითხება მოწმეთა მინიმალური რაოდენობა; მიტინგების თავიდან აცილების მიზნით, საბოლოო სიტყვის უფლება არ მიეცემა განსასჯელებს და ადვოკატებიც შეიზღუდებიან დაცვით სიტყვაში პოლიტიკური სიტუაციის ანალიზისას; უზენაეს სასამართლოში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, პროკურორის კარნახით, სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე არ გაიზიარებს დაცვის არც ერთი შუამდგომლობას, საბოლოოდ კი გამოიტანს უმკაცრეს განაჩენს და თანაც დაამშვიდებს ახლობლებს: "რაც შემეძლო გავაკეთეო".

არსებობს ყველა წინაპირობა იმისთვის, რომ ვივარაუდოთ - პოლიტიკური პროცესი, ტრადიციისამებრ, ექსცესებით იქნება სავსე; სასამართლოს მთელი ენერგია მოხმარდება არა სიმართლის დადგენას, არამედ "ზვიადისტების" ლანძღვა-გინებას; მოსამართლე გულგრილი დარჩება განსასჯელ პოლიტპატიმართა ჯანმრთელობის მიმართ; ერთი სიტყვით, მორიგი პოლიტიკური პოცესი მთლიანად წარიმართება ბოლო წლების დაუწერელ კანონებთან შეთანხმებით - დაწერილ კანონთა საზიანოდ და უგულებელყოფით.

***ნინო ჩეჩელაშვილი***

# წერილი ევროპარლამენტიდან

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა, ბატონმა გიორგი კერვალიშვილმა, წერილი გაუგზავნა ევროპარლამენტს. წერილში კერვალიშვილი აღნიშნავდა ადამიანის უფლებათა მასობრივი, სისტემატური და უხეში დარღვევების ფაქტებს საქართველოში, პოლიტპატიმრების მძიმე მდგომარეობას, აგრეთვე სიკვდილმისჯილთა პრობლემას და მოითხოვდა ექსპერტების ჩამოსვლას ჩვენს ქვეყანაში. ამ დღეებში ასოციაციის პრეზიდენტის სახელზე მოვიდა საპასუხო წერილი ევროპარლამენტიდან.

გთავაზობთ წერილის სრულ ტექსტს:

"ძვირფასო ბატონო კერვალიშვილო. მადლობას გიხდით 1996 წლის 2 აგვისტოს წერილისათვის, რომელიც გადმოგვცა თბილისში მყოფი ევროკომისიის დელეგაციამ.

ევროპარლამენტი იზიარებს და პატივს სცემს თქვენს დიდ ზრუნვას ადამიანის უფლებების დაცვისთვის საქართველოში და ქვეყანაში მოქმედი ევროკომისიის დელეგაციასთან ერთად მუდმივად კონტროლს გაუწევს ამ სფეროში წინსვლას. უფრო მეტიც, ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ევროპის საბჭო გეგმავს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის ექსპერტების გამოგზავნას ამა წლის ბოლოსთვის. თქვენი წერილი განსახილველად გადაეგზავნება ევროპარლამენტის ტრანსკავკასიასთან ურთიერთობის დელეგაციის წევრებს. მე ასევე მინდა გაცნობოთ, რომ თანამშრომლობისა და პარტნიორობის შეთანხმება, რატიფიკაციის შემდეგ, იქნება საკანონმდებლო ბაზა საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ევროკავშირის ჩარევისთვის- (ინტერვენციისთვის). ამ შეთანხმების ძალაში შესვლა მოსალოდნელია 1996 წლის ბოლოსთვის.

დიდი პატივისცემით, გულწრფელად თქვენი

პოკა ჰაკალა

ტრანსკავკასიასთან ურთიერთობის ევროპარლამენტის დელეგაციის ადმინისტრაციული მდივანი".

***ასოციაციის პრესსამსახური.***

# რაღირს უზენაესი მართლმსაჯულება?

ცოტა ხნის წინ, "საქართველოში სტაბილიზაციისა და აყვავების" კვალდაკვალ, ფაქტობრივმა ხელისუფლებამ თავს ნება მისცა მოემატებინა ხელფასები დემოკრატიის აღმშენებლობაში აქტიურად მონაწილე სტრუქტურების თანამშრომელთათვის. მათ შორის, უზენაესი სასამართლოს წევრთათვისაც. თავდაპირველი პროექტით მათი გასამრჯელო 700 ლარის ოდენობით უნდა განსაზღვრულიყო, მაგრამ ხალხზე ზრუნვით დამაშვრალმა ხელისუფლების უმაღლესმა ეშელონებმა უარი თქვეს მაღალ ხელფასებზე და, შესაბამისად, მართლმსაჯულების მუშაკთა ხელფასიც ოდენ 170 ლარით განისაზღვრა. საკითხავია, ბევრია თუ ცოტა ეს თანხა? ცხადია, პენსიებისა და მასწავლებელთა ხელფასებთან შეფარდებით საკმაოდ დიდი თანხაა, მაგრამ განა შეიძლება საქართველოში არსებულ რეალურ პირობებში ასეთმა ხელფასმა უზრუნველყოს მოსამართლის ეკონომიური თავისუფლება? ცხადია, არა. ისევე, როგორც საბჭოთა წყობის დროს, ისინი კვლავ დგანან აუცილებლობის წინაშე, ეძებონ საკუთარი თავის გატანის სხვა გზები და დარჩნენ კორუმპირებულ სტრუქტურად, რომელიც მყარადაა მიჯაჭვული უმაღლეს ხელისუფლებასთან. როგორი რეკლამირებაც არ უნდა მოხდეს სასამართლო ხელისუფლების რეფორმისა, იგი ფიქციად დარჩება, რადგანაც მისი კონტროლის სისტემა იმუშავებს მარად, ვინაიდან ეს სჭირდება არსებულ ხელისუფლებას.

ამ ფონზე საინტერესოა, რომ უზენაეს სასამართლოს მსაჯულთა ხელფასი გაიზარდა ერთი ლარიდან ლარნახევრამდე სამუშაო დღეში. ამდენად, სრულიადაც არაა გასაკვირი, რომ უზენაესი სასამართლოს მსაჯულთა გალერეაში მრავლადაა ჯანმრთელობაშერყეული, საპენსიო ასაკის პერსონაჟები. მაშინ საკითხავია, რატომ მუშაობენ თვეში 12 ლარად ჯანლონით სავსე ახალგაზრდა ყმაწვილები სხდომის მდივნებად? ისინი ხომ, ფაქტობრივად, მათი უშუალო მოვალეობის - ოქმის გაფორმების გარდა, ყველას თვალწინ ასრულებენ მოსამართლის "დენშჩიკის" ფუნქციას? ალბათ, პერსპექტივის თვალსაზრისით, ეს თანამდებობა საკმაოდ პრესტიჟულია და თანაც შესაძლებლობას იძლევა, დაეუფლონ მართლმსაჯულების განხორციელების საიდუმლოებებსა და ფარულ ტრადიციებს. ამ გამოცდილების მიღებაში, საბაზრო ეკონომიკის კანონებით, ისინი თავად უნდა იხდიდნენ საფასურს.

ამგვარად, არც უნდა გაგვიკვირდეს დღევანდელი მართლმსაჯულების ხარისხი - იგი მისი ღირებულების შესაბამისია.

***ნ. ჩ.***

---

**TAVISUPALI SAKARTVELO**

**(FREE GEORGIA)**

**№39 (in brief)**

**5 - 11 November 1996**

# I Put a Motion on Release of Vakhtang Kobalia

*Otar Pankvelashvili - the lawyer of Vakhtang (Loti) Kobalia*

Continuing from "Tavisupali Sakartvelo" #38

According to the indictment Mr. Vakhtang (Loti) Kobalia is charged with the murder of 6 persons which was committed under aggravating circumstances according to which Mr. Kobalia shot down three guardsmen at the grocery shop at 11 a.m. of October 28, 1996. On the same day about 3 p.m. near the bridge he shot down a journalist Bolkvadze and two guardsmen.

State prosecution considered this crime confirmed basing on the testimonies given by the witnesses Bondo Kutalia, Nato Shengelia, Gela Katsarava, Eteri Bitsadze and others. Honorable Judge, suffice it to analyze the testimonies of these witnesses to be convinced that Mr. Loti Kobalia has never committed this crime.

## Scared Rather than False Witnesses

### Mr. Bondo Kutalia

Honorable judge, I will only list the reasons for which the testimonies of Mr. Bondo Kutalia cannot be considered as reliable: Mr. Bondo Kutalia has a very weak sight and for 3-4 years he is using eye-glasses. And on the day when he was the eye witness of two murders he did not have glasses with him.

Bondo Kutalia proved to be incapable to visually measure the distance between the two objects. It became clear at the Court hall when the witness was not able to answer what was the distance between the two walls of the hall, while in the course of the preliminary investigation he made the drawing and indicated the distances between each object depicted in the drawing.

Witness Kutalia verbalizes his testimony in a very elaborate way which does not correspond to his intellect. The witness did not know the meaning of the words which were used in his testimonies given in the course of the preliminary investigation.

Mr. Bondo Kutalia also suffers from the weak memory. In the course of preliminary investigation the witness testified that he had heard that Kobalia was told the names of the prisoners of war. In the course of Court hearing when his testimonies with the names of all six victims were read, Mr. Kutalia failed to repeat the names of the victims even after he had been reminded of them, after which he left the Court Hall in disgrace.

Proceeding from the above said the Court Board should not estimate the testimony of Mr. Kutalia as a proof.

### Ms. Nato Shengelia

Now I will try to recall the testimony which was given by the witness Mrs. Nato Shengelia.

The interrogation started at 11.40 a.m. Irrespective of persistent requests to give her testimony she was standing silent during 10 minutes and then asked: What about? After a while the witness pronounced one more most meaningful word: Shall I write? and with this she again returned to silent condition. You, Honorable Judge, explained to her that written testimony was not allowed at the Court hearing. The witness continued to stand silently. You asked: Have anybody sacred you? - No was the answer.

12.05 p.m. - a 15 minute break was announced. The session continued at 12.22 p.m. You, Honorable Judge, kept trying to make the witness speak: Please, tell us what happened in Khobi, why were you interrogated?. I will write - pronounced the witness.

At 12.25 p.m. irrespective of your definition that at the Court hearing the written testimonies were not allowed, you have provided Mrs. Nato Shengelia with the table and she started writing. At 12.45 you read her written testimony: On October 28 the journalist was taken to Loti Kobalia.

Another 15 minute break was announced. At 13.10 p.m. the Court Hearing was resumed. The witness again asked permission to write her testimony and was placed at the table. I will not give the testimony since in West Georgia I was threatened. I cannot list everybody who is threatening me. I do not know who and what exactly said to the witness Shengelia during the break, but her written testimony which I cited word by word invites such supposition.

On my question the witness Shengelia explained that in June, 1994, she was detained by the chief of Zugdidi police for being a Zviadist; she was kept in prison for 20 days in Zugdidi, She also claimed that she did not know Kobalia and has never spoken to him. On my question who had shot at Bolkvadze the witness answered: I do not know who it was. I have not seen.

Such was the testimony of Mrs. Nato Shengelia.

### M.r Gela Katsarava

I would like to inform you that the testimonies of the witness Mr. Gela Katsarava which were given in the course of the preliminary investigation dramatically differ from each other. Thus, for example in his second testimony the witness states, that when he was walking from his house and not from the war actions he saw Mr. Loti Kobalia approaching the boys and shooting at one of them. Katsarava was scared and ran away. When he was running he again heard the sound of shooting but who was shooting he did not know. The differences between his two testimonies he explained by the fact of being excited while he was giving his first testimony and did not know what he was writing.

In the course of Court Investigation he testified that he did not remember the year, month and time, that he was walking from the house of his grandmother. When he came to Khobistskali he saw the white car which stopped near the bridge and Mr. Loti Kobalia stepped out of it. The previous a kind of long pistol in his testimony now became a weapon of Stechkin type. Kobalia told Bolkvadze: It is you I was looking for and then fired at him.

Instead of previously mentioned 30-40 persons the witness now stated that at the bridge were standing 15-50 men in military clothes. He got scared, jumped down from the bridge and found his shelter under the bridge. When he left his shelter he saw that Kobalia still was standing there talking with the guardsmen. Two corpses were lying nearby while one soldier was wounded and he was taken to the hospital by a 06 brand car.

The above testimony does not correspond to the truth since the men who were shot down together with Bolkvadze were Onanashvili and Balalashvili and none of them was ever taken to the hospital. It seems the witness was not instructed very accurately and he has mixed the details of two various episodes.

I would like also to recall the circumstances of his interrogation. The witness Gela Katsarava stated that in 1993 he was arrested by he detachment of special destination. He was physically abused in his own house: I was beaten because I had a weapon. During one hour two men were beating me, while the others were watching. Then I was taken to the police where they continued to beat me. They were beating me with hands, legs, butt-stocks of the tommy-guns. Then they put the gun to my mouth. I got scared.

For 12 days Gela Katsarava was kept under illegal arrest without any warranty or charges under the pretense of the violation of curfew.

The witness states that he was first interrogated in relation to Bolkvadze Case at the duty room - it happened on November 18, on the very first day of his detainment, so no wonder that he was excited and as he says he did not remember what he was writing.

I would like to focus your attention on one more fact. As the witness Gela Katsarava testified he and Bondo Kutalia together arrived in Tbilisi where they both should have been confronted to Kobalia. Mr. Katsarava insisted that at confrontation was not attended by any woman. According to his testimony at the confrontation were he himself, Loti Kobalia and two other men. One man was a lawyer. Katsarava firmly rejected the presence of a woman at the confrontation. As you know, in the course of preliminary investigation the interests of Mr. Loti Kobalia were defended by a woman lawyer - Mrs. Leila Beriashvili. But then interfered you, Honorable Judge, and prompted the answer to the witness: May be there was a woman and you do not remember. After your remark the witness changed his testimony.

I have stressed numerous facts of the violation of law and I hope, that the Court Board will not turn deaf year to these facts. My review of the testimonies of the witness Gela Katsarava I would like to finish with calling him a false or rather a scared witness, and once more to repeat that his testimony does not correspond to the truth and it cannot be considered as a testimony of the eye-witness.

(To be continued)

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE
მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, სააბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia
გაზეთის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერია 2/4-851
იბეჭდება ს/ს კეგელში